A2 და +

Cocottes en papier

კ ი თ ხ ვ ე ბ ი ს ქ ვ ა კ უ თ ხ ე დ ი

მიზანი: კითხვის დასმა და კითხვის გარშემო საუბარი შემდეგ თემებზე - se présenter ; décrire son ami (e) ; parler de sa famille ; parler de sa ville.

საჭირო რესურსი: A4-ის ფორმატის თაბახის ფურცლები, საწერი საშუალება (ფანქარი პასტა...),ფერადი პატარა რგოლები (ქვაკუთხედზე დასაწებებლად), მაკრატელი და წებო.

მიმდინარეობა:

აქტივობა ერთი :

- დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად (სასურველია იყოს ოთხი ჯგუფი, მეტი ჯგუფის შემთხვევაში მასწავლებელმა შიძლება გაიმეორეოს თემები ან დაამატოს).
- მიეცით თითოეულ ჯგუფს თითო თემის გარშემო რვა შეკითხვა მოსაფიქრებლად (ოთხი ჯგუფი და ოთხი თემა - (se présenter ; décrire son ami (e) ; parler de sa famille ; parler de sa ville).
- სამუშაოს დასრულების შემდეგ შეაჯამეთ შეკითხვები მთელს აუდიტორიასთან ერთად.

აქტივობა ორი :

- კითხვების ქვაკუთხედების მომზადება (ქვაკუთხედის მოსამზადებელი მაგალითი თან ერთვის ამ მიმდინარეობას, ასევე არსებობს სხვადასხვა ვიდეო გზამკვლევი. მათ შორის: Comment faire une cocotte en papier - Jeux Enfants | Origami (youtube.com) შეგიძლიათ მოსწავლეებთან ერთად უყუროთ მას.
- კითხვების ქვაკუთხედებზე ფერებისა და შეკითხვების დატანა

აქტივობა სამი :

- თითოეული ჯგუფი პასუხობს თავის მომზადებულ კითხვების ქვაკუთხედზე არსებულ კითხვებს;
- ჯგუფები ერთმანეთში ცვლიან კითხვების ქვაკუთხედს და პასუხობენ იქ მოცემულ შეკითხვებს.
- კითხვების დასმა: ერთო მონაწილე ასახელებს ფერს, ხოლო მეორე მონაწილე ფერის შესაბამის შეკითხვას უსვამს და პირველი მონაწილე პასუხობს.

აქტივობა ოთხი :

- შეაჯამეთ აქტივობა და სთხოვეთ მოსწავლეებს გამოთქვან საკუთარი მოსაზრება ამ თამაშის მიმართ. გარდა ამისა, ჰკითხე რა შესაძლო ვარიანტები შეიძლება ჰქონდეს ამ თამაშს.

<u>შეკითხვების ვარიანტები:</u>

Comment tu t'appelles ?
Où tu habites ?
Comment est ta ville / ton village / ton quartier ? Dis 5 mots.
Quel est le métier de ton père ?
Quel film tu préfères ?
Quel âge as-tu ?
Comment s'appelle ton personage préféré ?
Comment il est phisiquement ?
Avec qui tu habites ?
Quels sont les loisirs de ton ami(e) ? Dis 2 loisirs

<u>იდეა მასწავლებელს</u>

თემებისა და შეკითხვების ცვლა შესაძლებელია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და საჭიროებების გათვალსწინებით. აქტივობის გამოყენება შესაძლებელია თემის ან თემების შეჯამების ეტაპზე. თუმცა ანალოგიური აქტივობის გამოყენება შესაძლებელია გრამატიკულ ერთეულების დასწავლისა და განმტკიცების ფაზაზე.

კითხვების ქვაკუთხედისთვის მეტი თვალსაჩინოებისთვის უყურეთ ვიდეო გზამკვლევს.

Comment faire une cocotte en papier - Jeux Enfants | Origami (youtube.com)



გამოყენებული მასალა

1. L'atelier de conversation - Cecile Denier ; PUG FLE.
2. Comment faire une cocotte en papier - Jeux Enfants | Origami (youtube.com)
3. Les cocottes en papier : une manière ludique de s'entraîner (conjugaison, tables de multiplication...) (apprendre-reviser-memoriser.fr)